საქართველოს კანონი

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №1-2 (33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ. 40) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-2 მუხლის 36-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„36. საქმიანობა – სამეწარმეო, სამეურნეო ან ნებისმიერი სხვა საქმიანობა, მათ შორის, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, ქალაქთმშენებლობითი გეგმების, დარგობრივი გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის და მათი გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, აგრეთვე იმ საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომლებიც ახდენენ გავლენას ან შეიძლება მოახდინონ გავლენა გარემოს მდგომარეობის ხარისხზე.“.

2. მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) გენერალურ გეგმებში;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ქალაქთმშენებლობით გეგმებსა და დარგობრივ გეგმებში;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 3 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

20 ივლისი 2018 წ.

N3236-რს